საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 26 (6522) 16 ივლისი ხუთშაბათი 1992 წელი

რაიონული საკრებულოს გამგეობაზე

სათიბი მიწა — სახელმწიფო ფონდში

ცაგერის რაიონული საკრებულოს გამგეობის სხდომამ განიხილა საკითხი „ცაგერის რაიონის ზოგიერთ საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო მოსახლეობის სახელმწიფო ფონდში დატოვების შესახებ".

გამგეობაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში შექმნილი მდგომარეობის გამო მოსახლეობამ თვითნებურად დაიკავა საზოგადოებრივი მეურნეობების კუთვნილი სათიბები, მიითვისეს თივის მთლიანი მოსავალი, რის გამოც საფრთხეში აღმოჩნდა მეურნეობებში დარჩენილი პროდუქტიული პირუტყვი. მეურნეობებმა გასულ წელს აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში შეიძინეს 124 ტონა ნაჭა, რომლის ღირებულებამ ტრანსპორტირების ჩათვლით 142 ათასი მანეთი შეადგინა, რაც საზოგადოებრივი მეურნეობების ისედაც გაღარიბებულ ეკონომიკას მძიმე ტვირთად დააწვა. ვერ შესრულდა რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულება. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა წელსაც. სათიბებში მიშვებულია მოსახლეობის პირუტყვი, ნაწილი სათიბისა თვითნებურად იქნა ახნული. ყოველივე ეს ქმნის ამ საქმეში განუკითხაობას და ქაოსს, არის ამ სათიბების კერძო მფლობელობაში მისაკუთრების შემთხვევები. საზოგადოებრივ მეურნეობებში დარჩენილი პირუტყვის მოვლა-შენახვაში შექმნილია ძალზე მძიმე მდგომარეობა. ამასთან მეცხოველეობის პროდუქტებით მომარაგება შეუწყდა საბიუჯეტო ორგანიზაციებს.

შექმნილი მდგომარეობის გამო რაიონის საკრებულოს გამგეობის გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი მეურნეობების ბალანსზე რიცხული სათიბები მიეკუთვნა სახელმწიფო მიწის ფონდს, და აიკრძალა სათიბების თვითნებური დაკავება და მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის ძოვება.

სახელმწიფო მიწის ფონდს მიეკუთვნა და დროებით სარგებლობაში დარჩა სათიბები ცაგერის კოლმეურნეობაში: აეროპორტი—18 ჰექტარი, საქულბაქო—12 ჰექტარი; ლაურცხა—15 ჰექტარი, წიფლარი—18 ჰექტარი, ყურთათანა—12 ჰექტარი, ქარაფი—8 ჰექტარი; ჩხუტელის კოლმეურნეობაში: საკოპალიანო—22 ჰექტარი, ლეკუნტრუშა—3 ჰექტარი, ქობურდიანი—2 ჰექტარი, ყურთათანა—12 ჰექტარი, ლამხურაში—15 ჰექტარი, საქუბლაქო—12 ჰექტარი; ლასურიაშის კოლმეურნეობაში: აგამი—3 ჰექტარი, ლეკარჩა—2 ჰექტარი, ღორათანა—2 ჰექტარი, საკოპალიანო—8 ჰექტარი, კენაში—2 ჰექტარი, ტვიშის კოლმეურნეობაში: გონის და ლახეფის—8 ჰექტარი.

მიწის რეფორმის რაიონულ და სასოფლო საკრებულოებთან შექმნილ კომისიებს დაევალა არ მოახდინონ აღნიშნული ფართობების მოსახლეობაზე განაწილება, აღრიცხონ და მიაკუთვნონ სახელმწიფო მიწის ფონდს.

სასოფლო საკრებულოებმა და მეურნეობათა ხელმძღვანელებმა დააწესონ კონტროლი სათიბების დაცვის მდგომარეობაზე, შექმნან მთიბავთა ჯგუფები და მოახდინონ თივის მოსავლის მთლიანი რაოდენობის აღება, მეცხოველეობის ფერმებში უდანაკარგოდ მიტანა და საკვებით მეცხოველეობის ფერმების უზრუნველყოფა.

სოფლის მეურნეობის განყოფილებამ უნდა შეიმუშაოს დასაბუთებული წინადადება რაიონში 2—3 მეცხოველეობის ფერმის შენარჩუნებაზე, რომელიც უზრუნველყოფს რაიონის საბიუჯეტო ორგანიზაციებს—რძით და რძის პროდუქტებით და მომარაგდება აღნიშნული სათიბებიდან შემოტანილი უხეში საკვებით.

შექმნილ პირობებში სოფლის მეურნეობის განყოფილებამ უნდა დააწესოს კონტროლი მოიჯარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობაზე და საიჯარო პირობების დარღვევის შემთხვევაში მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები საიჯარო ხელშეკრულების მოშლამდე.

რაიონის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მკაცრ პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებიც ახდენენ სათიბების თვითნებურ გათიბვას და მოსავლის დატაცება-განიავებას. თავიანთი მოქმედებით მატერიალურ ზარალს აყენებენ საზოგადოებრივ მეურნეობებს.

წინ საპარლამენტო არჩევნებია!

საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკა

ლეჩხუმს უნდა ჰყავდეს დეპუტატი

საქართველოში, როცა ეროვნული მოძრაობა დაიწყო, ხალხს იმედი ჰქონდა, იქნებ ცხოვრება უკეთ მოეწყოს, დემოკრატიამ ფეხი მოიკიდოს, სამართალი იპოვოს კაცმა და საკუთარი შრომით მოპოვებულ ქონებას დასჯერდეს ყველა. მაგრამ ჯერჯერობით ხალხის იმედები ჰაერში გამოკიდებული დარჩა. ყოფილმა ხელისუფლებამ ვერ გაამართლა ხალხის ნდობა, რესპუბლიკაში დამკვიდრდა ქაოსი და ძალმომრეობა, გამწვავდა კრიმინოგენური მდგომარეობა.

ამიტომ პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ნაწილი იძულებული გახდა ეზრუნა ქვეყნის გადარჩენაზე. შეიქმნა ახალი მთავრობა, ადგილებზეც მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა. მაგრამ, სამწუხაროდ, სიტუაცია ბევრ რაიონსა თუ ქალაქში კვლავ განუმუხტავია. გაჩაღებულია ძმათამკვლელი ომი. ყოველდღიურად ათობით ქართველი ეწირება უაზრო სისხლისღვრას.

დღეს მოსახლეობის მეტი წილი გამოსავალს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ავტორიტეტის განმტკიცებაში, ახალი პარლამენტის არჩევაში ხედავს.

არჩევნები, რომელიც 11 ოქტომბერს გაიმართება, დღითიდღე გვიახლოვდება. ვფიქრობთ ხალხი წარსულის მწარე გამოცდილებიდან ახლა მაინც გამოიტანს დასკვნებს და ხმას მისცემს ხალხისათვის თავდადებულ კანდიდატებს და აირჩევს ღირსეულ პარლამენტს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 21 მაისის სხდომამ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება, რომლითაც განისაზღვრა მომავალ პარლამენტში მანდატების რიცხვი 169. სწორედ ამდენი დეპუტატი იქნება არჩეული 47 საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით. პოლიტიკურ პარტიებს შესაძლებლობა ეძლევათ თითოეულ საარჩევნო ოლქში დაასახელონ იმდენი დეპუტატობის კანდიდატი, რამდენი მანდატიცაა.

დებულებით პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ ბის კანონმდებლობების შესაბამისად ლეგალიზებულ ან რეგისტრირებულ პარტიებს საარჩევნო რეგისტრაციის გავლის შემდეგ, მათ გაერთიანებებს—საარჩევნო ბლოკებს და ამომრჩეველთა ჯგუფებს. როგორც ცნობილი გახდა, რეგისტრაციაში უკვე გატარებულია 44 პარტია.

დებულების თანახმად პარლამენტის არჩევნებისათვის შეიქმნა 47 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით. მაგრამ ზოგიერთი კუთხისა თუ რაიონისათვის დაშვებულია გამონაკლისი და მიუხედავად ამომრჩეველთა მცირე რაოდენობისა, მაინც მიეცათ საარჩევნო ოლქი თითო მანდატით.

ლეჩხუმელი მშრომელები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ცაგერის რაიონი მიუმატეს ონისა და ამბროლაურის რაიონებს და შეიქმნა ერთი ორმანდატიანი საარჩევნო ოლქი. ე. ი. სამმა რაიონმა უნდა გაინაწილოს ორი დეპუტატი.

საბჭოთა ხელისუფლების სამოცდაათწლიანი არსებობის მანძილზე ლეჩხუმს, როგორც ეთნოგრაფიულ კუთხეს, რომელიც ერთ რაიონს მოიცავს რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოში ყოველთვის ყავდა 2-3 დეპუტატი. ახლა კი, როცა დემოკრატიას ვამკვიდრებთ, რაიონი რჩება დეპუტატის გარეშე, ან უნდა აირჩიოს ზიარი დეპუტატი, რაც არ მიგვაჩნია სწორად. უმჯობესია რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ ლეჩხუმის პირობები და როგორც ზოგიერთ მთიან კუთხეს—რაიონს, მისცენ ამომრჩეველთა რაოდენობის მიუხედავად ცალკე საარჩევნო ოლქი, სადაც ჩვენს ამომრჩევლებს საშუალება ექნებათ პარლამენტში აირჩიონ ღირსეული დეპუტატი.

ნ. ნემსაძე.

მკითხველო!

ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ჩვენც დაგვრია ხელი. ჩვენი რა გასაკვირია, როცა რესპუბლიკური გაზეთების ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას.

ქაღალდმა კატასტროფულ ფასს მიაღწია, არც იშოვება ფიზიკურად. წარმოუდგენლად გაძვირდა სასტამბო და სხვა ხარჯები.

ასეთ სიტუაციაში პირდაპირ საგონებელში ვართ, რა ვუთხრათ მკითხველს, რომელმაც 6 თვით გამოიწერა გაზეთი, ვადა დაუმთავრდა და ხელმოწერის გაგრძელებას გვთხოვს, ან კიდევ სხვებს გაუჩნდა სურვილი 5 თვით გამოიწეროს და მიიღოს რაიონული გაზეთი.

გამოვდივართ რა იქედან, რომ რაიონული გაზეთი მკითხველისაა, მის ინტერესებს ემსახურება, და არა ერთი კატეგორიულად გვთხოვს, შეგიძლიათ იგი გამოიწეროთ 1 აგვისტოდან შეღავათიან ფასში (არ ვაჭარბებთ, შეღავათიანში, რადგან ერთი ნომერი დაახლოებ 5-6 მანეთი გვიჯდება), ხელმოწერის ფასი დარჩენილ 5 თვეში 25 მანეთია.

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქცია.

თვალსაზრისი

ეგრე არ არის თაყაო

ანუ

რას და რატომ აბრალებენ ეროვნულ მოძრაობას

რაც დრო გადის და ჩვენი წყლულები შიშვლდება, მით მშირდება ბრალდებები ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ. ამ ბრალდებების არსი კარგად გამოიხატება რიტორიკული კითხვებით, ნებისმიერ დროს და ადგას რომ შეიძლება გაიგონის კაცმა: ესაა თქვენი მოტანილი ცხოვრება? ამისათვის გიკრავდით ტაშს? ამას გვპირდებოდით, დღეს რომ ვშიმშილობთ? და ა. შ. ერთი სიტყვით, ეროვნულ მოძრაობას ბრალდება ეკონომიკური კრიზისი, უპრეცედენტო დეფიციტი და ფასების აჩქარებული ტემპით ზრდა, და აქედან გამომდინარე ადამიანთა ცხოვრების დონის მკვეთრი გაუარესება. რა თქმა უნდა, ბრალდებები მხოლოდ ამით არ ამოიწურება, მაგრამ ვინაიდან ადამიანთა უმრავლესობას ჩვენი ცხოვრების ეს მხარე უფრო აინტერესებს, ვეცდები სწორედ ამ კითხვებს გავცე პასუხი. პასუხი გავცე იმდენად, რამდენადაც უკვე ცხადი გახდა ჩვენს მიერ ადრე ნავარაუდევი ტენდენცია, რომ გარკვეული წრეები შეეცდებოდნენ საქმე მოეწყოთ ისე, ხალხს ყველაფერში დამნაშავედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიეჩნია. ამის შემდეგ შეძლებოდათ უმტკივნეულოდ მოხდებოდა ამ მოძრაობის წარმომადგენელთა ჩამოშორება და სადავეების ძველ ხელში დაბრუნება.

დასასრული მეორე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

გულიდან ამონახეთქი

იმდენი კარგი ვაჟკაცი მოკვდა,
იმათზე კარგი ვინ უნდა მოკვდეს!
მაგრამ მე მაინც სევდის მგვრის
ახლა—
არც ისე იგი, რაც უკვე მოხდა,
როგორც ის—აწი რაც უნდა
მოხდეს!

მ. მაჭავარიანი.

ისევ უკუღმა ტრიალებს საქართველოს ბედისა თუ უბედობის ჩარხი, დღითიდღე ახალია და ახალზეასალი საქართველოს, ქართველობის ჩაწიხლვა და დაკნინება. მიფერფლილი წარსულის გახსენება რარიგ სალბუნად ედება დღევანდელობის გა[illegible] ხანჯლის წვერებზე აცმულ გულებს. ძველისძველი, ქართველური ტრადიციებით თავი მოგვწონდა, უძველესი ისტორიით ბევრად თუ არა, ცოტათი მაინც ვიბეზრებდით თავს, უამრავ მოკვდავს ვაღმერთებდით და გვავიწყდებოდა, რომ „ჭეშმარიტი ღმერთი არს ერთი“ და უკვდავი. არც იმას ვიხსენებდით, ამ უბედური საქართველოსთვის მიკუთვნებული ერთი სამეფო ტახტი როგორ იჭრებოდა ორ, სამ, ხუთ, ექვს სამეფო სავარძლად, ასე იყო, თუ ისე, წარსული მართლა გვქონდა, რაღაცის შიში გვქონდა თუ მოკრძალება, მიტევების უნარი გაგვაჩნდა თუ ძალდატანება გვამოძრავებდა, სიყვარულიც გვცოდნია და სიძულვილიც. დღეს!?—აღარაფერი აღარ შეგვრჩენია წარსულის, სულ არაფერი არ გვაქვს ძველი ქართველებისა თუ ქართველობის, სიყვარული ისე დავკარგეთ და დავივიწყეთ, მალე ალბათ ამ სიტყვას ლექსიკონში მოვძებნით. ზოგიერთების გულში სიძულვილი ისე მბრძანებლობს, როგორც ღმერთი თავის ტაძარში, უკვე ძალიან ხშირად ისე უსირცხვილოდ ვიქცევით, სირცხვილიც კი გვარიდებს თვალს, როგორ ალიგავა სიყვარულისათვის სიყვარული და ერთგულებისათვის ერთგულება!

მამულის სიყვარულისთვის ჯვარზე გაკრულ, დასჯილ ქართველებს ასეთ არჩევანს აძლევდნენ: „ან ხორცი—ან სული!—პირველს უარყოფდნენ და მეორეს ადიდებდნენ, ამიტომ ისევ ჯვარზე გაკრულები რჩებოდნენ. დღეს?—ასეთი არჩევანი დაგვიდგებოდესო ნეტავი, ნატრობენ ქართველები — თითო_ოროლა! სამაგიეროდ, ჩვეულებრივია „ან ფული, ან სული“ და თვით „ულარიბესზე ულარიბესიც“ არ უარყოფს მეორეს და ეძებს პირველს, თანაც შეშინებულნი ამბობენ: „სიკვდილის შიში უფრო შემზარავია, ვიდრე თვით სიკვდილი“.

ავიწყდებათ ქართველებს, ავიწყდებათ, რომ „უფრო ადვილია მოკლა, ვიდრე გააცოცხლო“ და ასე უწყალოდ, ასე ულმერთოდ კლავენ ერთმანეთს, მაინც ბევრნი ვართო—ასეც მოვისმინე. როგორ თუ ბევრი, განა მტერი არ გვყოფნის, ჩვენ არ გავიმეტოთ ასე ერთმანეთი? განა ქართველი ქართველის მაგიერი ყოფილა ან იქნება? იაკობს ხომ ჰყავდა თორმეტი, მაგრამ იოსებს მაინც დასტიროდა ცხარე ცრემლით, სისხლის ცრემლით...

და ბოლოს, ისევ მთელი დანანებით ნათქვამი, დაჭრილი გულიდან ამონახეთქი ერთადერთი შეკითხვა მთელ ქართველობას:—სად გაქრა ის დრო, როცა „ულვაშის ღერი ფასობდა ერთ თამასუქად?“..

პოსტ სკრიპტუმ: ისე, და სხვათაშორის, ასეთი ვედრებაც მოვისმინე ღვთისადმი: „ღმერთო ძლიერო, ცივი ჭადი და წყალწყალა ღვინო სადღესასწაულო საჭმელად გადაგვიქციე. ოღონდ მიაშველე ქართველობას სიბრალული, სინდისი და მონანიება.“

შორენა ხეცურიანი.

თვალსაზრისი

ქმრე არ არის, თაყაო

ანუ

რას და რატომ აბრალებენ ეროვნულ მოძრაობას

(დასასრული)

მაშ ასე, რამდენად შეეფერება სიმართლეს ზემოთაღნიშნული ბრალდებები და რამდენად ეკუთვნის ისინი ეროვნულ მოძრაობას? კაცმა რომ თქვას, ფაქტიურად დროის ბრალდებაა, ხოლო რამდენადაც დროის სულის გამომხატველი ამჟამად—ეროვნული მოძრაობაა, თავისთავად გაუცნობიერებელი მასა მას აბრალებს ყველაფერს. არადა, ჩვენ ვცხოვრობთ კომუნისტური საზოგადოებიდან კერძო საკუთრებაზე დამყარებულ ფორმაციაზე გარდამავალ პერიოდში, და დროის ხასიათსაც ამ ორ წყობას შორის ჭიდილი განსაზღვრავს. პრაქტიკულად ჩვენ ჯერ კიდევ კომუნისტურ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ჯერაც არ შეცვლილა საკუთრების ფორმა, არ მომხდარა წარმოების საშუალებების დენაციონალიზაცია, მათზე ისევ არსებობს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება. ჩვენთან დიდი კი არა, მცირე პრივატიზაციაც არ დაწყებულა ჯერ, ხოლო თუ ასერიგად მომრავლებული კომერციული მაღაზიები ვინმეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკმარისი პირობა ჰგონია, ძალიანაც ცდება. ჯერჯერობით ჩვენთან არ არსებობს ბაზარი, ეს არც გასაკვირია, ვინაიდან ბაზარი საქონლის გარეშე აბსურდია, საქონელი კი ჯერჯერობით არ იქმნება. მიზეზი? მიზეზი ისევ პრივატიზაციის განუხორციელებლობაა: სახელმწიფო სტრუქტურები, საწარმოები ვეღარ მოქმედებენ, ახალი, კერძო სტრუქტურების და საწარმოების ამოქმედებას კი მაქსიმალურად უშლის ხელს ძველი. გამოდის, რომ სწრაფად მზარდ ეკონომიკურ კრიზისში დამნაშავეა არა თავისუფალი ბაზარი, არამედ ამ ბაზრის არარსებობა, და ძირითადად ასეა რუსული მანეთის მოქმედების თითქმის მთელ ზონაში. ჩვენი ეკონომიკის ბედი ეწია სსრკ-ს ყველა ყოფილი „მოძმე“ რესპუბლიკის ეკონომიკას, მიუხედავად იმისა, იყო იქ თუ არა ეროვნული მოძრაობა. ეს გვაძლევს არცთუ მახვილგონივრული დასკვნის გაკეთების საშუალებას—ეროვნული მოძრაობა არაფერ შუაშია, ესაა ჯერ კიდევ ათეული წლების წინ დაწყებული კომუნისტური საზოგადოების რღვევის თანამდევი პროცესი, ისეთივე გარდუვალი, როგორც უხეიროდ ნაგები შენობის დანგრევა, აწმყო პირმშოა წარსულისა და დღევანდელობაც არაა ჩვენს (ე. ი. ეროვნული მოძრაობის) მიერ მოტანილი, იგი სწორედაც რომ კომუნიზმის მიერ დატოვებული საჩუქარია ჩვენთვის. შვილი როდია დამნაშავე იმაში, რომ ცუდი მემკვიდრეობა ხვდა მამისაგან..

რატომ მიესალმა ხალხი და რისთვის უკრავდნენ ტაშს ეროვნულ მოძრაობას? ყოველ შემთხვევაში, არა იმისთვის, რომ ხალხს ამქვეყნიურ სამოთხეს ჰპირდებოდა. ყველაფერი შეიძლება დააბრალო წინა ხელისუფლებას, მაგრამ საარჩევნო კომპანიისას დაპირებების უხვად ფანტვას ვერ დავაბრალებთ. კარგად თუ დაფიქრდებით, გაიხსენებთ, ამომრჩევლებთან შეხვედრისას დეპუტატობის კანდიდატები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, რომ უახლოეს ორ_სამ წელიწადში, ვიდრე საბაზრო ეკონომიკის მექანიზმი სრულად არ ამოქმედდებოდა, ხალხის ცხოვრების დონის მკვეთრი გაუარესება [illegible]. ეროვნული მოძრაობა ხალხს პირდებოდა და პირდება თავისუფლებას—პოლიტიკურს და ეკონომიკურს, რის განხორციელებასაც წლები სჭირდება, ამიტომ ასეთი კითხვები ახლა დემაგოგიას უფრო ჰგავს: არარა ძალას არ შეეძლო ასე მცირე დროში უკეთესობისკენ შემოეტრიალებინა საზოგადოების მატერიალური ცხოვრება. ყველა, ვინც ასე თუ ისე მონაწილეობდა და აღიქვამდა პოლიტიკურ პროცესებს, ამას უნდა შეგუებოდა, როგორც აუცილებლობას, სახადს, ობიექტურ კანონზომიერებას. სხვა საქმეა ის, თუ რამდენად შეიძლებოდა გარდამავალი პროცესების დაჩქარება. შეიძლებოდა, შეიძლება და აუცილებელია კიდეც. მაქსიმალურად უნდა დაჩქარდეს პრივატიზაცია, ამოქმედდეს თავისუფალი ბაზრის მექანიზმები, გაუქმდეს ძველი სახელმწიფო სტრუქტურები, ხელს რომ უშლის ამ მექანიზმების დანერგვას. დიახ, რაც შეიძლება მალე უნდა მოვიშოროთ თავიდან კომუნიზმის აჩრდილი, ჯერ კიდევ სინანულით რომ შესცქერის ზოგი. ჩვენ ჯერ ისევ ძველებურად ვაზროვნებთ და იოლად გვაღიზიანებს უჩვეულო სიახლენი—კომერცია, კაპიტალი, კერძო საკუთრება. არადა, ხსნა მხოლოდ მათშია. საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები თავისუფლებას აღიარებს პროგრესის მამოძრავებელ ძალად. შებორკილი, განაწილების პრინციპზე დამყარებული ეკონომიკა მატერიალურ სიუხვეს ვერ შექმნის.

ია ხმელიძე.

საზოგადოება
და
კანონი

უნებართვო იარაღს უბედურება მოაქვს

თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი დესტაბილიზაციისაგან გამოწვეული სხვადასხვა მიზეზების გამო საბრძოლო იარაღის დიდი რაოდენობა მოხვდა ხალხში. იარაღი ხელში ჩაუვარდა მოზარდებსაც, რომლებიც ოდნავი თვითკონტროლის დაკარგვისთანავე იყენებენ მას.

გახშირდა იარაღის გამოყენებით მშვიდობიან მოსახლეობაზე ყაჩაღური თავდასხმები და ძარცვა, რაც იმის მაუწყებელია, რომ იარაღი მის მფლობელს სტიმულს აძლევს, უბიძგებს დანაშაულისკენ, განსაკუთრებით კი იმ პირებს, ვისი სული და მორალი მერყევი და ცვალებადია.

ეკონომიკური მდგომარეობის დაცემა და გაუარესება ადრეც ყოფილა, ჩვენს წინაპრებს გამოუვლიათ ის დრო, მჭადისა და პურის ლუკმა რომ საძებარი იყო, მაგრამ იმდენ კრიმინალურ დანაშაულობათა შემთხვევებს ვერ მოძებნით რომელიმე პერიოდში, რაც დღესაა რესპუბლიკაში და რაიონში. მთავრობამ გამოსცა ბრძანებები იმ იარაღის დაუყოვნებლივ ჩაბარების შესახებ, რომელიც არაკანონიერ ხელს უჭირავს, მაგრამ არსებული სიტუაციის გამო არ შესრულდა და მომავალშიც გაძნელდება მისი შესრულება, თუ არ მოხდა სრული სტაბილიზაცია რესპუბლიკის ყველა მხარესა და რაიონში.

რაც შეეხება მოსახლეობაში არსებულ სანადირო იარაღს, ის თითქმის აღურიცხავია. რაიონში რეგისტრაციაშია მონადირეთა კავშირის 700_მდე წევრი, რეგისტრაციის გარეშე ალბათ ერთი ამდენი მაინც, რადგან ამ ბოლო დროს ვითომ „თვითდაცვის“ მიზნით შეიძინა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სანადირო თოფები და ყოველგვარი კანონიერებისა და წესების დაცვის გარეშე ატარებს ამ იარაღს ხან ბავშვი და ხან მოხუცი. ამას ნებით თუ უნებლიედ მოჰყვება დანაშაული, ასეთი ფაქტები ჩვენს რაიონშიც გვქონდა წინა წლებში.

მონადირეთა კავშირის წიგნაკს ბოლო გვერდზე აქვს სამახსოვრო და აუცილებლად შესასრულებელი მითითება, რომელსაც იარაღის ყველა მფლობელი უნდა ასრულებდეს. მაგრამ ეს მითითება იარაღის ზოგიერთ მფლობელს არც წაუკითხავს, საუბედუროდ, ერთეულები თუ იცავენ მათ. სანადირო თოფის შენახვა_გამოყენების წესების დარღვევას არა ერთი დანაშაული მოჰყვა.

საზოგადოებამ არ უნდა გაიგოს ისე, თითქოს ჩვენ ინფორმაციით გამოვდივართ—არა, მრავალი პრობლემისა და ხელისშემშლელი გარემოების მიუხედავად ვებრძვით ყველაფერს, რაც არაკანონიერია და ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული. ამ საქმეში საზოგადოების თანადგომის იმედი გვაქვს. თუ საზოგადოება დამალვის ნაცვლად სააშკარაოზე გამოიტანს რაიმე მამხილებელს და „რა ჩემი საქმეას“ პოლიტიკას მოვეშვებით, მერე ყველა ლაწირაკი და ოხერი თავს დახრის და დაემორჩილება კანონს.

იმის გამო, რომ მილიციას ამ ბოლო დროს აკლია საზოგადოების მხარდაჭერა, მილიციის შემადგენლობის დიდი ნაწილი საკმაო დროით წასული იყო რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში წესრიგის დასაცავად, ამასთან ულარიბესია ჩვენი მატერიალურ_ტექნიკური ბაზა, ნაკლები შედეგები გვაქვს იარაღის უნებართვოდ მატარებლებთან ბრძოლაში.

იარაღის კანონიერ მფლობელს მილიცია აძლევს მისი ტარების ნებართვას 3 წლით. თუ ვადის გასვლის შემდეგ ორი თვის ვადაში არ განაახლა ნებართვა, მოქმედი კანონით ჩამოერთმევა იარაღი და დაჯარიმდება გარკვეული თანხით. სამწუხაროდ, მომრავლდნენ ასეთებიც.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება მაქსიმალურ ყურადღებას დაუთმობს იარაღის მდგომარეობის საკითხს რაიონში, რათა ის არ გახდეს შემდგომში მაინც დანაშაულობათა ჩადენის საშუალება.

ვ. ხაზულიანი,
შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის ლეიტენანტი.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ორგანიზაციების და კერძო პირების საყურადღებოდ!

მიღებულია შემდეგი კურორტების საგზურები:

„ცემი“ (ბორჯომის რაიონი)—12_დღიანი. დასაწყისი 20 ივლისიდან. 3 ცალი, ფასი 3500 მანეთი.

„სულორი“ (ვანის რაიონი)—18_დღიანი. 14 ივლისიდან—5 ცალი, 31 ივლისიდან—4 ცალი. ფასი 3500 მანეთი.

„ამაღლება“ (ვანის რაიონი). 14 ივლისიდან—5 ცალი, 17 ივლისიდან—5 ცალი, 4 სექტემბრიდან—4 ცალი. ფასი 3500 მანეთი.

„სულორი“—18 დღიანი, 10 ივლისიდან—14 ცალი, ფასი 3500 მანეთი.

ყველა საგზური გაიცემა ღირებულების 10 პროცენტის გადახდით.

სოციუზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ფონდი.

სოხუმის ჰუმანიტარული ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას

1992—1993 სასწავლო წელს შემდეგ სპეციალობებზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (დღე, დაუსწრებელი).
2. ინგლისური ენა და ლიტერატურა (დღე),
3. გერმანული ენა და ლიტერატურა (დღე),
4. ისტორია (დღე, დაუსწრებელი),
5. სამართალმცოდნეობა (დღე, დაუსწრებელი),
6. დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (დღე, დაუსწრებელი),
7. სკოლამდელი პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (დღე, დაუსწრებელი),

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ სპეციალობებში, შემდეგი თანამიმდევრობით:

1. ქართული ენა და ლიტერატურა—ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი, წერა),
2. ისტორია, სამართალმცოდნეობა, სკოლამდელი პედაგოგიკა და ფსიქოლოგია—საქართველოს ისტორია (ზეპირი),

ქართული ენა და ლიტერატურა (წერა),

3. ინგლისური ენა და ლიტერატურა გერმანული ენა და ლიტერატურა — შესაბამისად

უცხო ენა (ზეპირი),

ქართული ენა და ლიტერატურა (წერა),

4. დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა—მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა),

სტუდენტი მის მიერ არჩეულ სპეციალობასთან ერთად დაეუფლება ერთ უცხო ენას.

ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე პირები ასაკის შეუზღუდავად.

აბიტურიენტებმა განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ თან უნდა დაურთონ შემდეგი დოკუმენტები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (დანართთან ერთად),
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086),
3. ექვსი ფოტოსურათი (3X4).

პასპორტისა და სამხედრო დოკუმენტის წარმოდგენა აუცილებელია საბუთების ჩაბარებისა და გამოცდაზე გასვლის დროს.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია:

აბიტურიენტები, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ ფრიადზე, თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან პირველ წელს.

სწავლის ვადა ხუთი წელია.

მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული მომსახურებისათვის აბიტურიენტებმა უნდა გადაიხადონ 150 მანეთი. ჩაჭრილ აბიტურიენტებს თანხა უკან არ დაუბრუნდებათ.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტში 1992 წლის 1 ივლისიდან 20 ივლისამდე. გამოცდები ჩატარდება 22 ივლისიდან.

ჩვენი მისამართია: ქ. სოხუმი, ჭანბას ქუჩის პირველი შესახვევი № 13 (მე_13 საშუალო სკოლის შენობა).

სოხუმის ჰუმანიტარული ინსტიტუტის მიმღები კომისია.

მანანა ლეშკაშელს, მირიან ფრუიძეს
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.
ბადულა ჯანაძე ოჯახით.

აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. შვილმრავალი ყოფილიყოს თქვენი ოჯახი.
მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით.

ნუნუ მუშკუდიანს, შიო ომანაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. გემრავლებიხოთ ერი.
ნინო, თენგიზ კოპალიანები.

ნუნუ მუშკუდიანს, შიო ომანაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
დალი, გოგი ბენიძეები.

ნუნუ მუშკუდიანს, შიო ომანაძეს
გილოცავთ ბედნიერებას, იმრავლეთ და გაიხარეთ.
ზურაბ ომანაძე ოჯახით.

ნათია ალავიძეს, მანუჩარ გოგრბასლიძეს
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ მარადიული სიყვარულით ლამაზი ოჯახის შექმნას.
ლელა, ლაშა ბურჯალიანები.

ნუნუ მუშკუდიანს, შიო ომანაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.
ნატო, გენადი კოპალიანები.

ნუნუ მუშკუდიანს, შიო ომანაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შვილთა სიძრავლეს.
ლამარა, ამირან მანდარიები.



ვალერი თედორეს ძე გენიძეს
გილოცავთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს. გისურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებაში და სამეცნიერო მუშაობაში.
გიორგი, ზაურ, ვენედი, გოგი ბენიძეები.

თამარ, ვალოდია ჩაჩხიანებს
გილოცავთ გულნაზის ბედნიერებას. შვილმრავალი, ფუფუნიერი ოჯახი შეექმნას.
გურამ გვიშიანი ოჯახით.

ნუნუ, ანზორ, კაკო ლეშკაშელებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.
ოთარ აბაშიძე ოჯახით.

მურმან ვასილის ძე ჩაკვეტაძეს
გილოცავთ შვილის, მაიას ბედნიერებას.
სამეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები.

ლამარა, ოლეგ ლარცულიანებს
გილოცავთ შვილის, გიას ბედნიერებას.
ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები.

ნინა, ალექსანდრე, გუგული ნემსაძერიძეებს
გილოცავთ შვილიშვილის და ძმისშვილის შეძენას.
მაყვალა მამარდაშვილი, ანიჩკა ტვილდიანი, დუდუშა სვანიძე, მადლენა მურცხვალაძე, ლეილა ხვადაგიანი, ნანული გუგავა.

ნინო, თენგიზ, ლამარა, გიზო კოპალიანებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაგზრდოდეთ სასახელო ვაჟკაცი.
მარინე, ავთო მანდარიები.

ნინო, თენგიზ, ლამარა, გიზო კოპალიანებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ბიჭი.
გოგი ბენიძე ოჯახით.

ანზორ მუშკუდიანის ოჯახს
გილოცავთ ნუნუს ბედნიერებას. სიხარული ნუ მოკლებოდეს.
ლუბა, ამირან ჭაბუკიანები.

ჟენია მურცხვალაძეს
გილოცავთ ბორიას და ლალის ბედნიერებას.
№ 2 საბავშვო ბაგა_ბაღის კოლექტივი.

როსტომ გოგრისის ძე ჯიაძეს
გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს. ღმერთი იყოს შენი მფარველი.
ჯარის ამხანაგები.

ნათელა ჭარსელაძეს
გილოცავთ ზაზას ბედნიერებას.
თამარ, სევარიონ კოპალიანები.

მარინე გურჯალიანს, გელა მუშკუდიანს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
ოთარ ჩაკვეტაძე ოჯახით.

შალვა ომანაძის ოჯახს
გილოცავთ შიოს ბედნიერებას.
ოთარ ჩაკვეტაძე ოჯახით.

დათო სოსოს ძე ბერიძეს
გილოცავთ დაბადების დღეს. გაზრდილიყო სასახელო ვაჟკაცი. ღმერთი იყოს შენი მფარველი.
ნატო, ნათია, სოფიკო, ზორბეგ, ზურიკო ცვარიანები.

ნაზი ახვლედიანს, ბიგლა ლეშკაშელს
გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას.
არჩილ ახვლედიანი, გელა სალიწაძე, ჯუმბერ კოპალიანი ოჯახებით.

ლამარა, ოლეგ ლარცულიანებს
გილოცავთ გიას ბედნიერებას.
ნორა, გივი გოლეთიანები.

მირზა ჟორას ძე კუხალაშვილს
გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი.
ნუნუ, გულნაზი, შიო, სოზარ ომანაძეები.

დინარა სალინაძეს
გილოცავთ ძმისშვილის შეძენას.
ნუნუ, მერი, დარეჯანი.

ია, ზურიკო აბაშიძეებს
გილოცავთ შვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
ნინო, რაისა, მირზა, ჟანვერ სილაგაძეები.

ნათელა პარიმონის ასულ ჩაკვეტაძეს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. მოსწრებოდეთ შვილთაშვილებს.
მალვინა, ჟორა კუხალაშვილები.

თამილა გენდელიანს
გილოცავთ დაბადების დღეს.
ლილი ყურაშვილი, ირინე სვანიძე.

ნორა ლარცულიანს
გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს.
ლილი ყურაშვილი.

ყურადღება!

1992 წლის 13 ივლისიდან მუშაობა დაიწყო ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატთან არსებულმა საფირმო მაღაზიამ, სადაც გაიყიდება კომბინატში დამზადებული სამკერვალო ნაწარმი და საბავშვო ასორტიმენტი.

კომბინატს შეუძლია მომსახურება გაუწიოს რაიონის მოსახლეობას და მიიღოს დაკვეთები ლოგინის თეთრეულზე შეღავათიან ფასებში.

საფირმო მაღაზიის მისამართია: ადგილმრეწველობის კომბინატის ადმინისტრაციული შენობა, I სართული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ ს ო ვ ნ ა

ემზარ ენთაზის ძე ირემაძე

სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც შენი ლამაზი სული მარადიულ სასუფეველში დამკვიდრდა, შვილო.

24 წელი გარგუნა ბედმა ამქვეყნიური ცხოვრებისა, 25 წლის შესრულება არ დაგაცალა ბოროტმა ხელმა. მაგრამ შენი სითბო, სიკეთე, სიყვარული შერწყმული კეთილშობილებასთან, განათლებასთან, თავმდაბლობასთან უხვად წვდებოდა ყველას, ვისთანაც კი კონტაქტი გქონდა.

ბავშვობიდანვე გამორჩეული იყავი შრომისმოყვარეობით, საღი აზროვნებით, ოჯახის ხელმოკლეობის გამო არავის აწუხებდი, შენი შრომით ცდილობდი გზის გაკაფვას. სწავლა გსურდა და სტუდენტიც გახდი. დამთავრება არ დაგცალდა.

სიკეთით იყავი სავსე. ბოროტმოქმედიც კი დაინდე სასიკვდილოდ, ქართველმა ქართველი არ გაიმეტე. თვითონ გაგწირეს. ვაი, რა ბრალია შენი დალუპული ახალგაზრდობა, შვილო!

სად არის ნუგეში, შენს სანაცვლოდ რა მოგვივლინოს ზეციურმა ძალამ? მაღალო ღმერთო, ნათელში ამყოფე, ჩემი ბიჭი, ულხინე და განუსვენე მის სულს.

დედა.

შუქური (კიკა) აკაკის ძე ბენიძე

..ამბობენ: „ხსოვნა მკაცრია"... მართლა მკაცრი აღმოჩნდა ჩვენთვის ძმაო, მესამე ზაფხული მოვიდა, შენ კი არსად ჩანხარ... მალე შენი დაბადების დღე მოდის, სად მოგილოცოთ 32-ე დაბადების დღე, კიკა... მესამე წელია ყვავილები და ცრემლებია ჩვენი საჩუქარი შენთვის. მესამე წელია გაქრა შენი ენამოსწრებული სიტყვები, მუდამ მცინარე თვალები და სახე. არაფრის გულისთვის, უმიზეზოდ მოგკლეს და ახლა განისვენებ მშობელი მამის გვერდით, ნაადრევი იყო, მაგრამ ბედისწერას წინ ვერავინ აღვუდექით, ძმაო...

ჩვენს ოჯახში პირველი სიხარული იყავი, მე ხომ მართლა ძმად მიმაჩნდი, სულ უკან დაგდევდი, შენთან ვწვებოდი, შენც მეფერებოდი, მასწავლიდი მანქანის მართვას, თხილამურებით სრიალს, შენს ნაჩუქარ თხილამურებს სათუთად ვინახავ, კაცურ საქმეებს მასწავლიდი, პატარ-პატარა კაცური „საიდუმლოებებიც" გვქონდა... ვაი, რომ ყველაფერი მოგონებად დამრჩა შენგან, ძმაო... მაშინ მე ათი წლის ვიყავი, შენი თამთა წლის და ორი თვის... ახლა თამთა დიდი გოგოა, 3 წლის და 6 თვისაა. ჩემთან ზის და მეულურტულება, რას წერო? ცრემლებს ვიკავებ და ვუღიმი. არ იდარდო, კიკა, მის თავს არავის დავაჩაგვრინებ და არც ობლობას ვაგრძნობინებ არასდროს, მაგრამ მის ანც თვალებში მამის ხსენებისას სევდა რომ აკიაფდება, იმას რა ვუყო, ბიჭო... გვენატრები, კიკა, სად უნდა გინახულოთ? როდის მოხვალ? ყოველ პარასკევს მხარჩამოვარდნილი მოდის ჩემი გამწარებული და, შაბათს შენთან მოდის სასაფლაოზე და კვლავ მარტო ბრუნდება. საკვ- ულდაგულოდ შენს სახელზე გაწყობილ სუფრაზე სანთლები ინთება... თამთა პატარა ხელებით იწერს პიჯვარს და ბუტბუტებს:—ღმერთო, გამინათლე ჩემი კიკა ბაბა-ო. ხოლო შეკითხვაზე—ვისი გოგო ხარ? სევდიანად იღიმება და „კიკა ბელიძის"-ო პასუხობს, ჩვენ ცრემლებს ვყლაპავთ..

გილოცავ, ძმაო, დაბადების დღეს, კეთილი იყავი ყოველთვის, მწამს, რომ მუდამ ნათელში იქნება შენი სული, ჩვენ კი არასოდეს დაგივიწყებთ.

ბელა მამარდაშვილი.

იუზა შურმანის ძე ცხვედიანი

27 მაისს 29-ე გაზაფხული უნდა მოგველოცა შენთვის, მაგრამ ვერაგმა სიკვდილმა არ დაგინდო. 1991 წლის 19 აგვისტო საბედისწერო გამოდგა შენთვის. აუხდენელი სიზმარივით დარჩა შენი ოცნებები, შენი მამობა.

გარდაიცვალა იუზა ცხვედიანი—ეს მწარე სიტყვები გვზაფრავს და სულს გვიღულებს, მაგრამ იმ სიკეთეს და კაიკაცობას გვახსენებს, შენ რომ წმინდა სანთლად აანთე შენი ტოლ-ამხანაგებისა და ნაცნობ-მეგობრების გულში.

გაგვშორდი, დაგვამწუხრე და დაგვტოვე, ძმაო იუზა, მაგრამ ყოველ დღე შენს ხსენებაში ვართ, ძალიან გვენატრები.

რა მხიარული იყავ, როგორი მეგობრული. შენს მოსვლას წუთში იგებდა მთელი სოფელი—ესეც საბედისწერო ყოფილა. ახლა უიმედოდ დგება შაბათკვირა, მხოლოდ დიდი ტკივილი და შეუშრობელი ცრემლი დაგვრჩა. ნუ გეშინია, ძმაო, მშვიდად იძინე, შენ არასდროს ჩაითვლები მკვდრად, ახლაც ჩვენს გვერდით ხარ და იქნები მუდამ.

მსუბუქი იყოს შენს მკერდზე დაყრილი საირმის მიწა.

ხათუნა სანიაძე.

გრიშა კოსტას ძე კოპალიანი

ექვსი გაზაფხული გავიდა რაც შენ წახვედი ჩვენგან. მას შემდეგ ექვსჯერ აყვავდა შენს ნაშრომ-ნაამაგარ ეზოში ია და ვარდი, სადაც ქეიფი გიყვარდა იქ შენი სული ისევ ტრიალებს. ექვსი წელია შენ ჩემთვის არ დაგიძახნია. დაუვიწყარია ერთად გატარებული წლები, ძალიან დასანანია, რომ შენს შვილებსა და შვილიშვილებს ვერ ხედავ. ერთი შვილთაშვილი კი მოგესწრო, ახლა 6 გვყავს.

დაუსვენებელი, ხელგამრჯე და ოქროსხელება კაცი იყავი. გიყვარდა ადამიანები. სიკეთეს თესავდი ყველგან. გული გვწყდება როცა სიცოცხლე გიწდოდა, მაშინ გიმუხთლა ბედმა. შვილიშვილები იგონებენ შენს სიმღერებს, მოკრძალებით, ჩურჩულით კითხულობენ შენს ჩანაწერებს, შვირად მოვდივართ შენს საფლავზე ღვინითა და ყვავილებით ხელში, ვანთებთ სანთლებს. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სპეტაკი სული.

შენს ნაშრომ-ნაამაგარ ოჯახში შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ცხოვრების გზა წლებს კა... ზე გალეწავს. შენ მუდამ ტკბილად მოგიგონებთ და ვიცხოვრებთ ისე, როგორც შენ გსურდა.

მეუღლე ნინა შვილებით და შვილიშვილებით.

შვილი ჯონი, რძალი ლეილა ქლიბაძე, შვილიშვილი ბესიკი, ძმები კოლია, გრიშა, დები სარა, ანჟელინა, რძლები დოდო, ზინა, სიძეები გრიშა მახარობლიძე, ალექსანდრე ხუციძე, ძმისშვილები, დისშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლასი ბესარიონის ძე სილაგაძე

დაკრძალვა 21 ივლისს, სამშაბათს, სოფ. ლესინდში.

ლუხვანოს საბავშვო ბაღის, საკრებულოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე ხეცურიანს ბიძაშვილის

ლერი ბენიძის

გარდაცვალების გამო.

რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლალი, ზაურ ყურაშვილებს დისშვილის

გაგა დათოს ძე კუჭავას

გარდაცვალების გამო.

ნანი ხაბულიანი, ზაირა სილაგაძე, დალი ხმელიძე თანაუგრძნობენ ლალი, ზაურ ყურაშვილებს დისშვილის

გაგა დათოს ძე კუჭავას

გარდაცვალების გამო.

შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილებისა და დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზვიად გიორგის ძე გუგავა

აქსენტი, ბიჭიკო, ევლიკო სვანიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნელი სვანიძის ოჯახს

ვახტანგ სვანიძის

გარდაცვალების გამო.

საფინანსო განყოფილებისა და საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ გივი გოლეთიანს ბიძის

აკაკი ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

დესნა სილაგაძე, ზაურ, გრიშა სალინაძეები, სევარიონ, შოთა, შოთა კოპალიანები, დემურ, კარლო ჩაკვეტაძეები, სოზარ, თამაზ, გივი ბენდელიანები, ბორის, დათო ხეცურიანები, მურთაზ ჩარკვიანი, ნუშარ ხვადაგიანი, მიშა ფოჩხიძე თანაუგრძნობენ ციცო, ანზორ ტვილდიანებს ბიძის

იორამ ტვილდიანის

გარდაცვალების გამო.

უსახელოს არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნანი გუგავას შვილის

ზვიად გუგავას

გარდაცვალების გამო.

რაფიელ კოპალიანი, გელა ფუტკარაძე, ზურა ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სერგო ყურაშვილი.

დუგლასი, ბიჭიკო, გრიშა ომანაძეები, ვალერი ბენიძე ოჯახებით იუწყებიან

მურად ვანოს ძე ჩაკვეტაძის

გარდაცვალებას.

ლერი ტვილდიანი ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს

კაკო ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

ბიძაშვილი გურამ დავითულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს

კაკო ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნელი სვანიძის ოჯახს

ვახტანგ სვანიძის

გარდაცვალების გამო.

გურამ, შოთა ლეთოდიანები, გივი კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნათელა, კუკური კოპალიანებს მამისა და სიმამრის

იორამ ტვილდიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის 1978 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ მამუკა სვანიძეს მამის

ვახტანგის

გარდაცვალების გამო.

ჯემალ, ზაურ ტვილდიანები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

იორამ ტვილდიანის

გარდაცვალებას.

უახლოესი მეზობლები მურთაზ ახვლედიანი, ვალოდია, გრიშა კვენტაძეები, რაინდი მიქაძე, გურამ დავითულიანი, კლარა ნემსწვერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ კოტე ლაკვეხელიანს დის

ნონა ლევანტის ასული ლაკვეხელიანი-გიორგობიანის

გარდაცვალების გამო.

დადაში, დათო, ჯონი, ზაზა დავითულიანები, ენველი აფრიდონიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

აკაკი ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

ალექსანდრე გოლეთიანი, კარლო ცვარიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნელი სვანიძეს მეუღლის

ვახტანგ სვანიძის

გარდაცვალების გამო.

გოგი ასათიანი, დანიელ ყურაშვილი, გიური, ხუტუ ბერუჩაშვილები, ტრისტან სილაგაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

ვახტანგ გიორგის ძე სვანიძის

გარდაცვალების გამო.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის 1946 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან ყოფილი თანაკურსელის

ვახტანგ გიორგის ძე სვანიძის

გარდაცვალებას.

არსენ ლეშკაშელი, მიშა ბაკურაძე, რეზო გიორგობიანი, ამბერკი ახვლედიანი, კუჭიკო მახარობლიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ კოტე ლაკვეხელიანს დის

ნონა ლაკვეხელიანის

გარდაცვალების გამო.

ჯიმშერ ახვლედიანი, დავით სვანიძე, ბუჭუ მამარდაშვილი, თამაზ ხეცურიანი, ზაურ ომანაძე, გენადი ჭაბუკიანი, დათო მიქაძე თანაუგრძნობენ ნათელა ქარსელაძეს მაზლის

სერგო ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედა ნანი ბანძელაძე, ბებიები ელპიტო, ქუქუნა, სოხია, თამარ თოთაძეები, ვალენტი ბანძელაძე, მამიდები ლოლა, გოგუცა გუგავები, ბიძები მიხეილ ბერიძე, ბენია მოწონელიძე, მურმან, იური ბანძელაძეები, მამიდაშვილები ლევან, იური ბერიძეები, მარინე, მამუკა მოწონელიძეები, ყიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზვიად გიორგის ძე გუგავა

დაკრძალვა 19 ივლისს, კვირას, სოფ. უსახელოში.

დები ნანი, ნუნუ, ნანული, ძმები ზაური, სერგო, როლანდი ოჯახებით, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რამინ ზაქროს ძე ვაწაძე.

დაკრძალვა 18 ივლისს, შაბათს, სოფ. ნასპერში.

გიორგი ახვლედიანი ოჯახით იუწყება ცოლისძმის

რამინ ვაწაძის

გარდაცვალებას.

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ნანი ბანძელაძეს შვილის

ზვიად გიორგის ძე გუგავას

გარდაცვალების გამო.

სოფელ უსახელოს ახალგაზრდობა თანაუგრძნობს ნანი ბანძელაძეს შვილის

ზვიად გიორგის ძე გუგავას

გარდაცვალების გამო.

ზურაბ ხაბულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ონერ ნემსწვერიძის ოჯახს დედის

თამარ ნემსწვერიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.